

572
1978
w 4

ISSN 0132-9965



1979 ၂၃၆၀၀၀၀၄

အိမ်ထောင်ရေး

ღენინი

ალიო მირცხულავა

რატომ გვიყვარს მზის ქვეყანა,
 უსვი, თვალუწვდენელი?
 აქ ერთობას ამკვიდრებდა,
 აქ ცხოვრობდა ღენინი.
 რატომ გვიყვარს ჩვენი ხალხი,
 გპირი, გამოჩენილი?—
 მუდამ სწეტაკ სიმართლისთვის
 ხალხს უფვარდა ღენინი.
 რატომ გვიყვარს მომავალი,
 ცისკრად ამოვლენილი?—
 ჩემს ბედნიერ ცხოვრებაზე
 ოცნებობდა ღენინი.



შურდულასა და წიფლის ზღაპარი

შოთა არაგული

იყო ერთი ცელქი ბიჭი, რომელიც უღრანი ტყის პირას მიყუჟულ ლამაზ სოფელში ცხოვრობდა. უფროსების დარიგებას არაფრად ავლებდა, მისი დღე და მოსწრება ხელში შურდული ეჭირა და ჩიტებს მოსვენებას არ აძლევდა. ამიტომაც იმ სოფლის ყმაწვილებმა ბიჭს შურდულა შეარქვეს.

ერთხელ მამამ შურდულა ტყეში წაიყვანა. ვიდრე მამა ხმელ შეშას აგროვებდა, ბიჭმა უზარმაზარ წიფლის ტოტებში მოფუსფუსე კოდალა შეამჩნია. ჭრელფრთებიანი, დიდნისკარტა ჩიტი წიფლის ტოტს გასოცარი მოხერხებით აძრობდა ქერქს და მერე წამდაუწუმ უკაკუნებდა, იჭრდა წიფლის შემაწუხებელ მავნე მატლსა თუ ჭიას.

შურდულამ ჯიბიდან შურდული ამოიღო, გულდაგულ დაუმიზნა და იმავ წუთს თავგახეთქილი ტყის მკურნალი ხიდან ფრიალ-ფრიალით გადმოეშვა. მისი უჟანასკნელი ამოკენესა მთელ ტყეს ქუხილივით მოედო. ეგ არის, თვითონ შურდულას არაფერი გაუგია, — ბალახებში ჩავარდნილი მოკლული ჩიტი გახარებულმა აიტაცა და თუმცა ტყეში მისი საქციელის მომწონებელი ირგვლივ არავინ ჩანდა, გმირ მონადირესავით მაინც ამაყად მიმოიხედა, დახეთ, რა მიზანში მსროლელი ვარო. კიდევ კარგი, მამას არ დაუნახავს, თორემ არ დაადგებოდა კარგი დღე.

გავიდა დრო. წიფლის ტოტებს ხმობა შეებარა, მერქანჭამია მატლებმა დიბუდეს მის ჯანსაღ სხეულში და ეს ტყის მშვენება, ანკარა წყაროს მაჩრდილობელი, მალე სიცოცხლეს უნდა გამოსალმებოდა.

შურდულა დაეჟაკცადა, შურდული მიატოვა და ტყის ბინადართ ახლა თოფით ავლებდა მუსრს.

ერთხელ შურდულამ ბებერი წიფლის მახლობლად დათვი გაკენწლა. გაკენწვლა ეგრე არ უნდაო, იღმუგლა დათვმა და დამფრთხალ შურდულას გამოეკიდა. შეშინებულმა მონადირემ წიფლისკენ მოკურცხლა. როგორც კი პირველივე



ნახატი ელჟარდ აგოკაძისა

ტოტს ხელი მიაწვდინა, იფიქრა, ახლა ნამდვილად მეშველაო. ზემოთ აცოცდა, ერთ მსხვილ ტოტზე მოკალათდა და თოფის დატენვა დაიწყო. უცებ წიფლის ტოტმა საწყალობლად გაიჭრია-ლა, მერე ქვემოთ-ქვემოთ გადაიხარა და შურდულა თავდაყირა გადმოეშვა დათვისკენ.

მსუბუქად დაჭრილმა ნადირმა თავისი დათვური წესით ჯერ თოფი გამოგლიჯა ხელიდან და წიფლის ტანს შემოალეწა, მერე ვაიმონადირე ქვეშ ამოიღო და თავისი ბანჯგელიანი ტორებით გემოზე დათეთქვა.

შიშით გულგახეთქილმა შურდულამ თავი მოიმკვდარუნა, სუნთქვა შეწყვიტა, დათემაც დაი-

ჯერა, დაბეგვილი მონადირე მიატოვა და ბურტყუნ-ბურტყუნით თავისი გზით წავიდა.

როცა ცოტა მოსულიერდა, შურდულამ წიფელს უსაყვედურა:

— შენ რომ ჩემთვის არ გელაღატა, დათვი ამ დღეში არ ჩამაგდებდა.

— მე ტყუილად მემდური, ჩემო კარგო, — ამოიხრა წიფელმა, — რამდენიმე წლის წინ ჩემი მკურნალი კოდალა რომ არ მოგეკლა, დღეს მაგ დღეში არ იქნებოდი. იმ დალოცვილი ფრინველის სიკვდილის შემდეგ, ჩემს ტოტებს ვერაგმა მატლებმა სიცოცხლე მოუსწრაფეს და მეც დღეს თუ ხვალ სიცოცხლეს გამოვესალმები.

მარსის ეპიკლა

პ. გოგიაშვილი

მერცხლებივით დანავარდობთ ვარსკვლავების კაშკაშში, ვინც გახდება მარსის მგეკლე, ის იქნება ვაჟკაცი.



ვალენტინა ტარეშკოვა

წუნუ კარაქალიკა

ვალენტინა ნახა კახამ, ჰოდა, აღარ მოსცილდა, ვალენტინა იცინოდა და პატარებს კოცნიდა.



მუკინაპი აჩიკო

ირინე ტალიაშვილი

პატარა აჩიკო სულ იმას ნატრობდა, ნეტავი ჰაერში ამაფრინაო. დიღით გამოიღვიძებდა თუ არა, ამ ნატურაში იყო, ღოგინში ჩაწვებოდა და, ისევ ეს ენატრებოდა.

ნახატები ელზა რდ აგროკაპისა

ერთ დღესაც სკოლიდან რომ მოდიოდა, არ ვიცი როგორ მოხდა, უცებ, თავის ჩანთიანად ჰაერში არ აფრინდა! სიხარულისაგან კინალამ გადაირია ბიჭი. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ

ჰაერშიც ისე მიაბიჯებდა, თითქოს მიწაზე ადგამდა ფეხს, ჯდომითაც ისე ჯდებოდა, ვითომც რბილ სავარძელზე წამოსკუპებულიყოს. ის კი არა და, შეეძლო ჰაერში ეკითხა წიგნიც; გაკვეთილიც ესწავდა და სავარჯიშოებიც შეესრულებინა.

ერთი სიტყვით, ადბათ თქვენც წარმოიდგინეთ, რა დიდებულად აეწყო აჩიკოს საქმე.

მფრინავი ბიჭი რომ დაინახეს, მთელმა ქალაქმა ზვეით დაიწყო ყურება, — საოცრება, საოცრებაო! — უყვიროდნენ ერთმანეთს.

ზოგიერთმა თანაკლასელმა მფრინავ ბიჭში აჩიკო იცნო და ყვირილი მორთო:

- მანდ როგორ ახვედი, როგორ დაფრინავო?!
- არ ვიცო! — მხრები აიჩჩა აჩიკომ.

— ჩვენც გვინდა ფრენაო! — ისევ აყვირდნენ ბიჭები.

— მართად არ ვიცო! — ჩამოსძახა იმანაც და სთხოვა: — ძალიან მცხედა, ნაყინი ამომიგეტო.

წინადადება არც კი დამთავრებინა, რომ ქალაქში რაც ნაყინი მოაპოვებოდა, ყველა ზვეით გაფრინდა.

აჩიკოს გაუყვირა: — აი, ოინი, აბა, კიდევ ვინატრებ რამესო, — და ახლა ფუნთუშები მოითხოვა. ფუნთუშებიც ფრენა-ფრენით წავიდნენ მისკენ, ბიჭები კი ფეხდაფეხ მისდევდნენ და მალე ყურებით კისრები ეტკინათ.

— მათემატიკა გამოიყვანე?! — დაუყვირა ერთმა ბიჭმა, რომელიც მისგან დავალებას იწერდა ხლდმე და შეეშინდა, სულ ასე რომ იფრინოს, რალა მეშველებო.

აჩიკომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ჩამომიგეტო! — სთხოვა ბიჭმა. აჩიკომ რვეულს ხედი გაუშვა, მაგრამ რვეული ქვევით კი არ ჩამოვარდა, აჩიკოს გაჰყვა ფრენით.

მთელი დღე ასე იფრინა ბიჭმა ქალაქის თავზე და მეორე დღეს ჩვეულებრივად თავის მეზრზე წამოსკუპული რომ დაინახეს, ძალიან გაუყვირდათ თანაკლასელებს. ათასჯერ მაინც ჰკითხეს: — როგორ გაფრინდიო. აჩიკომ კი მართად არ იცოდა როგორ აფრინდა და რას ეტყობათ?! მაგრამ, მე მგონია, რაკი ბიჭს ძალიან უნდოდა ფრენა, იმიტომაც შესძლო. ასეა, როცა რაიმეს გულით მოინდომებ, აუტილებლად შეგისრულებო.

გაპოვად, სიოვ, გაპოვად

ამირან ზოკაშვილი


სიომ სიცილით სარკეულში შემოხედა გუშინ:

— კარეთ გამოდი, ზატარავ, ჩურჩულთ მითხრა უურში, ნახე, სუვაჟდა ატამი, ალუბალი და ნუში...

კუჩრული

ლია ასათიანი

ეს უურცქვიტა კურდღელი ქურდობას არ თაკილობს, გადაჭახა ბოსტანში კომბოსტო და სტაფილო. ასერიგად თუ გიევარს ჭარხალი და ლობიო, საკუთარი ბოსტანი გაასუნე ძმობილო!





მწყემსები

ვლადიმერ ასლაგაფიშვილი

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

პატარა ბიჭია ბეჟანა, მისი დიდი იმედი აქვთ მშობლებსაც და მეზობლებსაც; ოციოდე ცხვარ-ბატკანს მოსაუღელად ანდობენ. ისიც აიღებს პაპისეულ გუდას, შიგ საგზალს ჩასდებს, ხელში კომბალს მოიმარჯვებს და აბა, ჰეო, შეუძახებს ფარას.

სოფლის თავში მწვანედ გადაბინინებული მთა მშიერ მგელივით წამოყუნცულა. პატარა მწყემსიც სწორედ იქით მიერეკება ცხვარ-ბატკანს, ფარაც ნება-ნება ძოვით აუყვება მთის კალთას. აუა ბეჟანა მთაზე, ზედ კონწოხზე მოექცევა, დაჯდება იქ, გვერდით გუდასა და კომბალს მოიდებს, მერე ქვევით— ბარისკენ გაიხედავს და იტყვის:— იფ, შენი ქირიმეო. ეს იმიტომ, რომ პირველად წითელკრამიტა სახლებიან, მწვანეში ჩაფლულ თავის სოფელს დინახავს, მთელი ქვეყანაც რომ მოიაროთ, ამისთანა ლამაზი სოფელი არსად იქნებაო,— ფიქრობს ბეჟანა და ქვემოთ იყურება,— უფრო შორს ფერად ფარდაგივით მიწლიორ-ველი დაფენილა.

ერთ ღღეს მთის კონწოხს ქეჩოზე რომ

მოექცა, ბეჟანას სალამურის ხმა მოესმა. ვაი-ხელა და იქით ფერდობზე ცხვრის ფარას მოჰკრა თვალი. ფარასთან მასავით პატარა ბიჭი იდგა და სალამურს არაკრავებდა. ბეჟანას აქამდე არც ის ბიჭი ენახა და არც მისი ცხვრის ფარა. თვითონ სალამურის დაკვრა არ ეხერხებოდა და კაცისათვის უკადრისი გრძნობა დაეუფლა— ცოტათი შეშურდა.

— მაგას თუ რალაკით არ ვაჯობე, რა ბიჭი ვიქნები. მოდი, დავუძახებ და ერთი მაგრად ვვექიდავები, ვნახავ, რა ჯეილიაო.

ბეჟანამ ბიქს გასძახა:

— აქ ამოდი, თუ კაცი ხარ, მექიდავეო.
— თხა თხაზე ნაკლები მგელმა შექამოს,— ამოსძახა იმან. სალამური უბეში ჩაიღო და მთის კონწოხზე აირბინა.

დაევიდნენ, ხან ის ბიჭი იყო ქვეშ, ხან ბეჟანა, ვერც ერთმა ვერ აჯობა.

ბეჟანას ბიჭი მოეწონა, გადაკოტრილდა გვერდზე და სიცილით თქვა:

— როდემდე უნდა ვიძიებდილოთ, ორივე კაი ქვის ნატყებები ვყოფილვართ, შენი სა-

ხელი მითხარიო.

- დიმიტრი მქვიაო,—თქვა ბიჭმა.
- დიმიტრი, მოდი ახლა პური გავტეხოთო.

გახსნა ბეჟანამ გულა, იქიდან ორი კვერცხი, მარილი და შოთიპურის ყუა ამოამჭირინა. გახსნა დიმიტრიმ გულა, იმანაც შოთიპურის ყუა და ქათმის ორი მოხარშული ბარკალი ამოიღო. ბეჟანამ კვერცხი გაუგორა, დიმიტრიმ ბარკალი მიაწოდა. დაიწყო პურობა, რაც ებადათ, გემრიელად მიირთვეს. მერე ნარჩენი პურის ნატეხები და მარილი ქალაღლის ნაგლეჯში გაახვიეს, გულაში შეინახეს. ჩაირბინეს წყაროზე, ცივ-ცივი წყალი დალიეს და ბეჟანა დიმიტრის გუბნება:

- თუ კაცი ხარ, სალამური დაუკარიო.
- დიმიტრის რა ხვეწნა უნდოდა; ამოაცოცა უბიდან სალამური და დაუკრა.

- ვინ გასწავლა დაკვრა?
- მამაჩემმა მასწავლა, მამაჩემს კი პაპაჩემმა ასწავლა. ეს სალამურიც იმისეულია, იმან გამოთალა.

— პაპაშენი ერთ სალამურს კიდევ არ გამოთლის?—გულისფანცქალით შეჰპებდა ბეჟანამ დიმიტრის.

- ვერა, პაპა ომში დაიღუპა, აღარ მყავს!
- დაკვრა მაინც მასწავლე,—შეხებევწა ბეჟანა.

— რატომაც არაო,—და მაშინვე შეუღლებს საქმეს.

ბეჟანამ სალამურს ჩაჰბერა და გაიფიქრა: — ეს რა კარგი ძმაკაცი გავჩინე, ხვალ საძოვარზე რომ წამოვალ, თან ორ დიდ ვაშლს წამოვიღებ, ერთს დიმიტრის მივცემო.

ეს რომ გაიფიქრა, თან თვალი მთის ფერ-ღობისკენ გაექცა, სალამურს რომ ვუკრავ, ნეტავი ჩემს ცხვრებს თუ ესმითო. გაიხიდა და სახტად დარჩა: ფარა აღარსად ჩანდა.

— ვაი, ცხვარ-ბატკანი დამეკარგაო!—შესაძახა ბეჟანამ და გაიქცა, უკან დიმიტრი გამოუდგა. მთას გარშემო შემოუტრბინეს; ფარა აღარსად იყო.

ჩემიც ხომ არ დამეკარგაო,—გაიფიქრა დიმიტრიმ და თავის ცხვარს გახედა, გახედა და, პირი დააღო,—მისი ფარა ერთიორად ქცეულიყო, ემატნა.

— ბიჭო, ეს რა ამბავია, შენი ფარა დამეკარგა, ჩემი ერთიორად ქცეულაო! მივიღნენ ახლოს, ყურზე სერი გაუსინჯეს და სიცილი აუტყდათ; თურმე ბეჟანას ცხვარი დიმიტრის ფარას შერეოდა და ბალახსაც ერთად ძოვდნენ.

იმ დღის მერე ბეჟანა და დიმიტრი დამაკადნენ, ხან ერთი არაკრავებს სალამურს, ხან—მეორე. ცხვრებიც განუყრელად ერთად დაბალახობენ იმ მშვიერ მგელივით წამოყუნებული მთის ამწვანებულ კალთაზე.



წყაროს სიღვლე

ლიქი სირა ჭიბიაშვილისა
მუსიკა მირაბ ზარსხალაძისა

დივლი—დივლი,
დივლი—დივლი,
ქვეყანაზე ასე ვივლი.

სამო ვარ,
სასმენადო,
სამური—
სასმელადო.

წუთით არსად დავახანებ:
ტყეს ვახარებ,
ველს ვახარებ,

ვიწუხნუხებ,
ვიწერილვებ,
მალალ კლდეებს ვახარხარებ.

დივლი—დივლი,
დივლი—დივლი,
ქვეყანაზე ასე ვივლი.

სამო ვარ
სასმელადო,
სამური—
სასმენადო.

მუსიკალური ნაწარმი. მუსიკა მირაბ ზარსხალაძისა. ტექსტი სირა ჭიბიაშვილისა. ნაწარმი ლ. ვინიანზისა.

სიღვლე. ოქტავა 1-99. მფ.

სგ - ლი, სგ - ლი,
სგ - ლი, სგ - ლი, მმ - და - ნა - ზე ა - სე ვე - ლო, ჭე!
სა - ა - ში ვარ, სას - მე - ნა - ღო, სა - ა - მე - რი სას - მე - ლა -
ღო - ღო!

ფასონტოლო | ფასონტოლო



ორი ხალიჩა

ჰუსეინ აბასჯალა

კვირა დღე იყო. სიავეშმა ძღვს წაართვა ძიღს თავი. თვალი გაახილა თუ არა, დივანის წინ იატაკზე გაფენილი ხალიჩა დაინახა. გუშინ ხალამოს ეს ხალიჩა ნამდვილად არ იყო აქ. სიავეშში თავისი საწოლიდან წამოდგა, დივანთან მივიდა და ხალიჩაზე ფეხშიშველმა გაიარ-გამოიარა. ხალიჩა ისეთი რბილი იყო, ბიჭუნას ეგონა, ჭრე-ჭრედი ყვავილებით მონატრულ მინდორზე დაესვირობო.

დივანის თავზე, კედელზე ძველი ხალიჩა ჩამოეკიდათ. იგი ისეთი ძველი იყო, აღარც ხახხასა ფერები შეჩინოდა და აღარც—სახე. სიავეში ხან კედელზე ჩამოკიდებულ ხალიჩას შეხედავდა, ხან—ფეხქვეშ გაფენილს.

— ეს რა უქნიათ? ახალი ხალიჩა ძირს გაუფენიათ, ძველი კი კედელზე ჩამოუკიდიათ,—გაუკვირდა სიავეშს,—ნეტავი ვინ მოიტანა? ზედ რომ დადვივარ და ვაფუჭებ, განა შეიძლება?

სიავეში ხალიჩიდან გადავიდა, მოშორებით დადგა, დღინჯი შემოიყარა და ახლა ძველ ხალიჩას დაუწყია ყურება, დიდხანს უყურა.

— დაიცა, მამა მოვიდეს, ვეტყვი, ხალიჩებს ადგილი შეუცვალეს: ახალი კედელზე დაკიდეს, ძველი კი ძირს დაფინოს! ეჰ, დიდი ვიყო, თვითონ შევუცვლიდი ადგილებს.

ამ დროს სიავეშის უფროსი ძმა ფუადი მოვიდა.

— რა კარგია, რომ მოხვედრი,—გაუხარდა სიავეშს,—მოდი, მომეხმარე, ახალი ხალიჩა კედელზე დავკიდო, ძველი კი ძირს გავფინო.

— რას ამბობ,—უთხრა ფუადმა,—ახალი ხალიჩა აქ უნდა იყოს.


— არ გინდა მომეხმარო და ეგ არის,—იწყინა სიავეშმა,—მამა მოვა და იმას ვეტყვი.

— შენა გგონია, მამა ახალ ხალიჩას ძველის ადგილზე დაკიდებს?

— რატომ არ დაკიდებს?

— იმიტომ, რომ დღეს მალაზიაში სწორედ ძირს გასაფენად იყიდ.

— ახალი ხალიჩა ძირს გასაფენად გაიმეტა?



ნახატი ვახტანგ გულისაფრისა

დგდა რომ ამბობს, ახალი ტანსაცმელით ეზოში სათამაშოდ არ ჩახვიდე, დაისვენება, გაფუჭებობაო მაშ, ახალ ხალიჩას ძირს რატომ ფენენ?

— მამამ თქვა, ეს ხალიჩა მართალია ძალიან ძველია, მაგრამ მანც ძვირფასიაო,—აუხსნა ფუადმა,—სახსოვარი ყოფილა; თურმე პაპის ურუქებია. იცი, რა ხნისაა ხალიჩა? ორასი წლის.

— ორასი? უჰ, რა ძველი ყოფილა!

— ეს ხალიჩა ჩემი პაპის პაპის ბებია მოქსოვია, ასე მითხრა მამამ.

— პაპის ბებია?

— ჰო.

სიავეში ახლა მიხვდა, ნაჩუქარი ნივთი არასოდეს რომ არ ძველდება. კედელზე დაკიდებულ ხალიჩას შეხედა, უყურა და ისე დამაზი მოეჩვენა, თვალი ვერ მოსწყვიტა.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა **ლელია პრაქმა**



ყოყლორინა მამალი

ათაბაპ ხნაოინი

წითელ-ყვითელ-ხატულა,
დეზებგრძელი, ფრთამალი,
სახურავზე შეფრინდა
ყოყლორინა მამალი.
ფეხი დაჰკრა სახურავს,
უკვირს, ეს რა ხდებაო,
ჩემს სიმძიმეს რით უძლებს,
როგორ არა ტყდებაო.

სომხურიდან თარგმნა

ზაფხა მელულაშვილა



ნახტი დარეჟან ჰილაშვილისა

გია და ჩივი

ნოდარ შამანაძე

— ჩიტო, ფრენა ვინ გასწავლა,
 ცის ლაქვარდში სრიალი,
 ან ჭიკჭიკი ვინ გასწავლა,
 ტკბილი, ხალისიანი?
 — ფრენაც დედამ შემასწავლა
 და ხმის ჩარაკრავებაც,
 შენ ქვის სროლა ვინ გასწავლა,
 ანდა მახის დაგება?!



ცისარგყელა

ცისარტყელა ცას ამშვენებს
 ათას სხივთა ფენით,
 ათას სხივთა ფენით
 და მრავალი ფერით:
 ნარიჯისფერით,
 ლურჯით,
 მწვანით,
 თეთრით,
 წითლით,
 ყვითლით...
 ცხრა მთის იქით გამოჩნდება,
 ბრწყინავს ცხრა მთას იქით.
 მეც ავდგები და იმ ცხრა მთას
 გადავივლი ფრენით,
 ახლოს ვნახავ ცისარტყელას
 ნაირ-ნაირ ფერით.

სოფიო და თოჯინა

შალვა შორჩიძე

გარეთ ახლა ღამეა,
სხინი ხეებს ბარდნიან...
ცაზე გაცივებული
ვარსკვლავები დადიან.
ლაიძინე, გეხვეწები,
ნუ ჯიუტობ, პატარავ,
ხვალ ბაღებში გასეირნებ,
წყაროს გასმეფ აკარას...
იქ დაგიკრფე ია-იას,
თავს დაგადგამ გვირგვინებს
და ღიღებად დაგიკვრებ
ცისფერთვალა გვირიღებს.
ლაიძინე, გენაცვალე,
პაწაწინა, თოჯინავ,
მეც შენსავით პატარა ვარ,
რა ვქნა, ძილი მომინდა!



გოგნი და ღიღი

ქიშვარდ ისაკაძე

— თუ ბიჭი ხარ, მიპასუხე,—
ეუბნება გოგის ღიღი,
— რატომ არის ხიღვეული
ზოგი მუყვე.
ზოგი—ტკბილი,
თუ არ იცი, მაშინ, ახლა
ეს მითხარი, გენაცვალე:
რატომ არის ბოსტნეული
ზოგი მწარე.
ზოგი—ცხარე?—
დარცხენილმა გოგომ უცბად
გაურია ცრემლი სიცილს:
— რა გატირებს, ისე გკითხე,
თორემ, ვფიცავ, არც მე ვიცი!

კ ა ზ ი

ღავით ქორიძე

ლ ე გ ე ნ დ ა

ეს მოხდა შორეულ წარსულში, ძველ დროს. იდგა გვიანი გაზაფხულის ნათელი, მზიანი დღე. მეფე თავისი ამალით სასახლის ბღანარაღქცეულ ეზოში გამოსულიყო და ბუნების სილამაზით ტკებოდა. მსლელბლები მეფის გასართობად, გასახალისებლად ერთმანეთს ეუჯირებოდნენ: ისრებს მიზანში ესროდნენ, ჯირითობდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ.

უეცრად მახლობელ ხეზე არწივი შემოჟდა. ფრინველთა მეფეს ყელზე გველი შემოხვეოდა და ახრჩობდა.

მეფეს ეს ამბავი ცუდად ენიშნა, დალონდა, აღბათ ჩემს თავს რაღაც უბედურება არისო და ამაღას გამოუცხადა:

— ვინც გველს ისე ესვრის ისარს, რომ წელში გაწვევტა, ხოლო არწივის ცოცხალს გადაარჩენს, საჩუქრად ჩემი სახელმწიფოს ნახევარს ვპირდები.

მსლელბებმა ნათქვამი მოისმინეს, მაგრამ ეს მეტად ძნელი და საფრთხილო საქმე ვერავინ იკისრა.

ბოლოს მეფეს მემკვიდრემ სთხოვა:

— მე ვეცვრი!

რა თქმა უნდა, მამამ მაშინვე დართო ნება შვილს—ეცადა მარჯვენა და, ვაშუბა ელვის უსწრაფესად შემართა მშვილდ-ისარი, მეფე და მისი ამაღა სუნთქვაშეკრულნი გაჰყურებდნენ სამიზნეს.

ერთბაშად გაიშხულია ისარმა და იმავე წამს წელში გაწვევტილი გველი მიწას დაენარცხა. გადარჩენილი არწივი აფრინდა, რამდენჯერმე ლაღად შემოუარა იმ არემარეს და თვალს მიეფარა.

გავიდა დიდი დრო. ერთხელ სასახლის ეზოში ისევ ის არწივი მოფრინდა და იმავე ხეზე შემოჟდა. ფრინველს ნისკარტით რაღაც ეპირა, როცა არწივმა მეფისა და მთელი სასახლის ყურადღება მიიპყრო, ის რაღაც ტოტზე დაღო, მერე ფრთები გაშალა, სასახლეს რამდენჯერმე შემოუარა და გაფრინდა.

ღაინტერესებულმა მეფემ ბრძანა:

— ხეზე ადით და ნახეთ, რა დატოვა არწივმა.



გაგზავნილებმა ბევრი ძებნის შემდეგ ერთი პატარა მარცვალი იპოვეს და მეფეს მიართვეს. ხელმწიფემ უპრადლებით დათვალა იერა მარცვალი და ქვეშევრდომებს დაავალა, დაეთესათ, თანაც მკაცრად გააფრთხილა, ნათესისთვის გულმოდგინედ მოევლოთ.

ასეც მოიქცნენ. მიწაში მარცვალი მალე გავივდა, ამოვიდა, გაიზარდა და იქვე მდგომ ხეს შემოეხვია. მერე მცენარემ მტევნები მოიხსა, რომელიც მალე დამწიფდა. ქარვისფერი ნაყოფი ტბილი აღმოჩნდა. ადგნენ და, მოკრეფილი მტევნები დაკულიტეს, დაწურეს. წვენი კურკელში ჩაასხეს. ორი-სამი დღის შემდეგ სითხემ დუღილი დაიწყო. გაუჟკირდათ, უცეცხლოდ როგორ დულსო და ინტერესი კიდევ უფრო გაუძლიერდათ, ვერაფრით ვერ გაეგოთ, რა იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ დუღილი შეწყდა. ახლა საჭირო იყო შემოწმებინათ—დადუღებული სითხე ადამიანისათვის სასარგებლო იყო თუ საწამლავი. მაგრამ ვის გაეხსიჯა მისი გემო? ხომ შეიძლებოდა საწამლავი გამომდგარიყო. მოკლედ, ვერაფერს გაბედა ამ უცნაური სითხის შესმა. ბოლოს, გაახსენდათ, რომ დილეგში ერთი სიკვდილმისჯილი დამნაშავე ჰყავდათ გამომწყვდეული.

მეფის ბრძანებით პატიმარი მოიყვანეს და დადუღებული წვენი მას დაალევიანეს. სითხე თუ საწამლავი აღმოჩნდებოდა, სულერთია, მაინც სიკვდილი ჰქონდა მისჯილი პატიმარი.

ხალხი სულგანაბული უუპურებდა, რა მოუვიდოდა სიკვდილმისჯილს, მაგრამ მას ვერავითარი ცვლილება ვერ შენიშნეს. შემდეგ ისევ დაუსხეს და დაალევიანეს. პატიმარი გამხიარულდა და ცოტახნის შემდეგ სიმღერაც შემოსძახა. ისევ შეუვსეს სასმისი და ისიც რომ დალია, ძილი მოუნდა, იქვე მიწვა და დაიძინა.

მეთვალყურეები ინტერესით უცქეროდნენ, გაიღვიძებდა თუ არა პატიმარი.

კარგა ხნის შემდეგ სიკვდილმისჯილს გაელვია. მეფემ თავისთან იხმო პატიმარი და ჰკითხა: — სასმელს რომ სვამდი, თავს როგორ გრძნობდი?

— თქვენსავით, ბატონო, მეც თქვენსავით ხელმწიფემ მეგონა ჩემი თავი.

მეფეს ამ პასუხზე გაეცინა, მერე ბრძანება გასცა, მოეშენებინათ ვაზი, ხოლო სიკვდილმისჯილს სიცოცხლე შეუნარჩუნა და გაათავისუფლა.



ზრახუნობა ჩას მიქვია

ზალვა შუბლაძე

ბევრი ჩემგან გაუგიათ,
ბევრი სხვისგან გამოვიდა,
მაგრამ ჩემი ცოდნით, გარჯით
თავი არსად არ მიქია.
ნეტამც ბევრი შემასწავლა,
ტრამბსობა რას მიქვია.

ყველა გაუნახებია

თოხით მხარზე,
ჭერი, ჭერი!
უნისაკენ მივიმდერი.
სიმინდია გასათოხნი,
თოხი მიმაქვს მჭრელზე მჭრელი.



ჩაგომა აყუვდნენ მგლები

თაღო ზამიფილი

ღამე იყო ქუფრი, ბნელი,
ტეკი ბჭობდა სამი მგელი:
— სანამ ღამე არის ბნელი,
დავირბინოთ მინდორ-ველი,
მიგვიწვივდებ რასაც შელი,
გამოვლანდროთ სწრაფად ველი...—
დაირბინეს მინდორ-ველი,
დაიქანცა სამი მგელი,
ვერაფერი ვერ იხოვეს
საუბილო და შესაჭმელი...
და აუშუვლდა სამი მგელი—
ტუნმოკლე და კუდაგრმელი.





ი ა

წუნუ ლადიძე

ნახატები თამაზ სუსიფილისა

ვაზაფუზულზე მე და მია მინდორში გავიქეცი. მია ჩემი ამხანაგია, ორივეს ძლიან გვიყვარს მინდვრის ყვავილები.

ვაზზე ენძელები, ცისთვალეები, ყოჩივარდები შემოგვხვდა. ისინი ამაყად ყვლეულობდნენ. იქვე ჯაგებში ლურჯად მოხასხასე იებიც შეენიშნეთ, მათ მოწყვეტაზე კი არ გვიფიქრია.

ბილიკმა უნებურად ტყეში შეგვიყვანა. ტყე დაბურული იყო.

ერთი ხის ძირას, ხმელ ფოთლებში, მიწაზე გართხმული ჰაწია, მოთეთრო ყვავილი შეენიშნეთ, ახლოს მივედი, დაეკვირდი, დაეყოსეთ კიდევ — იაა? — იკითხა მიაამ,

— იაა, მაგრამ იისა არც ფერი აქვს და არც სუნი. ამ ტყეში რამ ამოიყვანა?

— აღბთე ჰიანჭველა მოიტანდა თესლს, — დაასკვნა მიაამ.

— ჩვენ ხომ ტყის გარეთ, მინდორზედაც ენახეთ იები, ისინი ლურჯად ხასხასებდნენ, ეს კი გათეთრებულია.

მიაამ აქეთ-იქით მიმოიხედა და მითხრა:

— ნახე, რა ბინდი წვეს ირგვლივ. ეს ხშირი ბუჩქნარი მზის სითბოსა და სინათლეს არ უშვებს უსუსურ ყვავილებამდე, რა გაახარებს ამ საწყალს, ვინ იცის, როგორ ენატრება მზე.

— ენატრება და დარდობს, დარდისაგან დაჩიანვებულა, ფერი და სუნი დაჰკარგვია. აი, ძირის ფოთლები უკვე გაბყვითლებია, ლამის გახმეს. მოდი, ვუშველოთ, როგორმე გადავარჩინოთ!

— როგორ ვუშველოთ? — დაღინდა მიაკო.

— ეზოში რომ ნაბარი გვაქვს, იქ ხომ ყვავილები დაეთესეთ, მოდი, ესეც წავიღოთ და იმ ფუმფულა მიწაში ჩაერგოთ.

— კარგი იქნება! — ლოყებზე ხელების მიფარებით თქვა მიაკომ.

დიდხანს აღარ გვიფიქრია; იას გარშემო მიწა შემოგუყვართ, მერე სამი თითი მაგრად ჩაგვიღე ძირში, ამოწვიე და ამოგვლიჯე.

— მეორე ხელი მიაშველე, ფესვებზე მიწა არ გასცვიდეს! — გამაფრთხილა მიაკომ.


ის მიწიანი ძირი მარცხენა ხელში ჩამოუჭე, მეორე ხელი სათუთად მოვაფარე ყვავილს, გულთან მიფიხუტე და წამოვედი.

ტყიდან მოტანილი ია ჩვენს ეზოში ვაფხვიერებულ მიწაში ჩაერგეთ და წყლით დაეაყეთ.

იამ პირველ ხანებში მოიწყინა, ფოთლები ძირს დაუშვა, მაგრამ მალე შეეჩიია ახალ გარემოს და გამზიარულდა, ახალი ფოთლები ამოტანა და კოკორიც გაეშალა.



თავსასტახი



შევეთ ცარიელი უჯრედები საქართველოს მდინარეების სიხელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ სიტყვა—„კოსმოსი“.

შეადგინა ქობულეთის რაიონის სოფ. გვარას საშ. სკ. მოსწავლემ გულად გოგმაჩაიძემ.

ბავშვებო, დაუიქრით!

ნოე კლატონია

ვინც პირველად ცა დაიპყრო, შეუცვალა კოსმოსს ნირი, აბა, მარჯვედ მიაწერე მისი გვარი.....

კოსმოსს ქალი რომ ესტუმრა, დიდება და ქება მხოვა. მამ, შეაგსე წერტილები:

.....

იცურავე

თამარ აბულაძე

— შენც გადახტი, რა იქნება?!
იცურავე დათუნია,
არავინ არ გაგიწყრება,
ცურვა ნებადართულია.

კითხვა ვიცი

გიორგი შარათელი

— აი, ია,
აი, თსა!
შემე ვიცე წაკითხვა.
— თუკი იცი წაკითხვა,
აბა, წიგნმა რა გითხრა?!

შაოსტახა

არჩილ ბეჟაური

წინ მიუძღვის ცხვრის ფარას—
დინჯი, დარბასიელი,
მეგზურია ჭკვიანი,
წაწვდილი აქვს კისერი.




დაესახეღე, რა რხეაჲა მხეაჲეკრეა. ეგეტოგან
რომელი ჴრინავს და რომელი რხევის?

რეჲესი



ბ



ქ



ღ



ყ

შეიღვინა სოხუბის საშ. სკოლის მოსწავ-
ლემ ლულა ჯანელიძემ.



თბილისი 380008
 ლენინის ქ. № 14
 ჟურნალ "დილას" რედაქცია
 ძია ცხრაკლიტულას



ნახატი მიხეილ სოლოვიოვისა

როგორი ძვეყნები მოიპარა ნაჩირბა, ვირჩა მიუღწევრა ძია ცხრაკლიტუღაბე?

შთავარი რედაქტორი მუხრან მუტაზაძე რიანი

სარედაქციო კოლფეგა: ანსორ ბაზულაშვილი (პ/მე, მდღენი), მღუბარლ ბაზოძეძე, კუპური გომიბაშვილი, ლიილა შრბე, მავზალა შრბელოვილი, ჯიშუარ მუჯიბი, გიორგი რიონიშვილი (სამხ. რედაქტორი), იორამ ძეშრბეღიბი, როგარბ ლბრინაშვილი, ვიპი ძნღაბაძე.

საქ. ალექ ცუინა და ვ. ი. ლენინის სახეღობის პიონერთა ორგანიზაციის რეგბუზღეღეღური საბჭოს ჟურნალი. ყღაზე ნახატი ჯურბზ ძაბანაძისა. გამოცეღის 52-ე წეღი.

ტეგრეღაქტორი ძნღი წრბითილი

მისამართი: რეღაქციის, გამოცეღობის, სტამბის—თბიღისი, ლენინის, 14, ტეღა: შთ რეღაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მე მღღენის—93-10-32, 93-98-17; სამხ. რეღაქტორის—63-98-18; განყოღ.—93-98-19; სამღღენისი—93-98-16.

გღღეღეღი სსაწეღბღღ 15/1-79 წ., ხეღმოწერღიღია ღსახეღეღღეღ 12/III-79 წ., ქაღღღის ზომი 60×90¹/₂; ფიზ. ნახ. ფურღ. 2წ, ტირიღი 158.000. შეღე. № 196 „ღღღა“ № 4. ნა გრუზინქემ ყაზუქ. ფხბი 20 კაბ.

საქ. კე ცუინის
 გამომცეღლობა
 Издательство
 ЦК КП Грузии